# ინფორმაცია მშობლებისთვის წაკითხვის და მოყოლის დროს

პატივცემულო მშობლებო,

ხმამაღლა კითხვა და ისტორიების მოყოლა აღაფრთოვანებს ყველა ბავშვებს, რადგანაც მათ უყვართ მოთხრობები. ხმამაღლა კითხვის დროს, ისინი სწავლობენ მოსმენას და ლაპარაკს და ეს მათ ეხმარებათ, გადმოსცენ საკუთარი გრძნობები.

ამ წიგნის დახმარებით, თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ყოველდღიურ ცხოვრებას გერმანიაში და ისწავლოთ პირველი გერმანული სიტყვები. გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახს, სიხარულს ერთად ხმამაღლა კითხვის და ისტორიების მოყოლის დროს!




## ერთად გავიცნოთ ყოველდღიური ცხოვრება გერმანიაში

რა აღმოჩენა შეიძლება გავაკეთოთ გზებზე გადაადგილების დროს, საბავშვო ბაღში ან ბაზარში? გაესაუბრეთ თქვენს შვილს სურათებზე წიგნში „ერთი დღეს ჩვენთან ერთად“. ჩამოთვალეთ თუ რას ხედავთ სურათებზე, ან დასვით კითხვები სურათებთან დაკავშირებით. თავისთავად ბუნებრივად დაიწყება საუბარი ახალ გარემოსა და ყოველდღიურ მოვლენებთან დაკავშირებით.

## ისწავლეთ პირველი გერმანული სიტყვები ერთად

ჭიგნში, თქვენ ყველა გვერდზე იპოვით სურათის შესაბამისს რამდენიმე გერმანულ სიტყვას. ასე რომ, თქვენ შვილთან ერთად მარტივად ისწავლით პირველ გერმანულ სიტყვებს და ივარჯიშებთ.

## წაიკითხეთ ხმამაღლა და მოყევით ისტორიები

ხმამაღლა კითხვის დროს, თქვენ დიდ დროს ატარებთ შვილთან ერთად. ეს წარმოქმნის სიახლოვეს, თქვენი შვილისთვის ეს დრო დაკავშირებული იქნება ბევრ სასიამოვნო გრძნობებთან. გარდა ამისა, ეს თქვენს შვილს ეხმარება, რათა მოგვიანებით კარგად ისწავლოს კითხვა. თქვენ ხმამაღლა არ უნდა წაიკითხოთ გერმანულად. გააკეთეთ ეს იმ ენაზე, რომელზედაც თქვენ ესაუბრებით თქვენს შვილს.

ფონდი „კითხვა“ უძღვება პროგრამას „კითხვა გვეხმარება. კითხვის  დაწყება ლტოლვილთა შვილებისთვის“, რომელიც ხორციელდება განათლების და მეცნიერების ფედერალური სამინისტროს ხელშეწყობით.

**გისურვებთ სიამოვნებას ხმამაღლა კითხვის და მოყოლის დროს!**

www.lesen-bringt-uns-weiter.de

Lesen bringt uns weiter. Lesestart für Flüchtlingskinder

EINE INITIATIVE VOM
Bundesministerium für Bildung und Forschung

Stiftung Lesen